დანართი N1.

შესყიდვის ობიექტის აღწერასთან დაკავშირებული ინფორმაცია

პუნქტი 1.1. შესყიდვის ობიექტის დასახელება

თელავის მუნიციპალიტეტში იყალთოს სამონასტრო კომპლექსთან არსებული მეწყრული უბნისათვის მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებების დასახვა და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება.

პუნქტი 1.2. მომსახურების აღწერა და ტექნიკური დავალება

1.2.1.პროექტის მოკლე აღწერა

თელავის ჩრდილოეთით დაახლოებით 7-8 კმ-ში განლაგებული იყალთოს სამონასტრო კომპლექსის მიმდებარე ტერიტორიაზე ბოლო წლებში განხორციელდა ინფრასტრუქტურული პროექტი, რომელიც მოიცავს სარეკრიაციო ტურისტულ შენობას მისასვლელი გზით და პარკინგით. გრუნტების მეწყრული გადაადგილების შედეგად ტურისტულ შენობასთან მისასვლელი გზის ნაწილმა (დაახლოებით 40 მეტრი) განიცადა დეფორმაცია, ამავდროულად წარმოიქმნა მეწყრის წვეროსთან ახლად აღმოჩენილი წმინდა ნინოს სახელობის არქეოლოგიური ძეგლის ნაშთების დაზიანების საშიშროება.

1.2.2.ტექნიკური დავალება

1.2.2.1.. მომსახურების მიზანი

მომსახურების მიწოდება მიზნად ისახავს იყალთოს არსებული სამონასტრო კომპლექსის, ახლად აღმოჩენილი წმინდა ნინოს სახელობის არქეოლოგიური ძეგლის ნაშთებისა და ტურისტულ სარეკრიაციო ნეგებობის დაზიანების საშიშროების თავიდან აცილების უზრუნველსაყოფად მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებების დასახვას და დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენას. რაც გულისხმობს ტერიტორიის და არსებული დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე (საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა), მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებების დასახვას, შემუშავებას და გადაწყვეტას. ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში დამეწყრილი უბნის საზღვრების დასაზუსტებლად ახალი ტოპო-გეოდეზიური კვლევის ჩატარებას და სხვა აუცილებელ ღონისძიებებს.

1.2.2.2. მომსახურების გაწევისას გასატარებელი ღონისძიებები:

მომსახურების გაწევუსას გასატარებელი ღონისძიებები ითვალისწინებს პროექტის მომზადებას რომელიც უნდა მოიცავდეს:

- ტერიტორიის და არსებული დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე (საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა), მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებების დასახვას, შემუშავებას და გადაწყვეტას. საჭიროების შემთხვევაში, უნდა ჩატარდეს ახალი ტოპო-გეოდეზიური კვლევა დამეწყრილი უბნის საზღვრების დასაზუსტებლად.
- დასახული მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებების და გადაწყვეტილებების დასაბუთებას სამშენებლო ნორმების შესაბამისად.
- მეწყერსაწინააღმდეგო ნაგებობების კონსტრუქციული გაანგარიშებას შესაბამისი სამშენებლო ნორმების და წესების გამოყენებით.
- საპროექტო დოკუმენტაციისა და ნახაზების შედგენა-დამუშავებას.
- ვერტიკალური გეგმარებას.
- მშენებლობის ორგანიზაციის პროექტის შედგენას.
- მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებას.
- მომწოდებელი ვალდებულია გაეცნოს თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებულ იყალთოს ხევის განაშენიანების რეგულირების გეგმას და უზრუნველყოს საბოლოო პროექტის თავსებადობა იყალთოს ხევის განაშენიანების რეგულირების გეგმასთან.

1.2.2.3. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შემადგენლობა და წარმოსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალი.

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია შედგენილი უნდა იყოს ქვემოთ მითითებული მოთხოვნების შესაბამისად და შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედი სტანდარტებს, სამშენებლო ნორმებსა და წესებს.

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია უნდა მოიცავდეს ქვემოთ მთითებულ დოკუმენტებს:

- განმარტებითი ბარათი არსებული მდგომარეობის შესახებ საპროექტო წინადადების, რეკომენდაციების, გადაწყვეტილებების დეტალური აღწერით და დასაბუთებით.
- კონსტრუქციული ნაწილის განმარტებითი ბარათი, სადაც აღწერილი უნდა იყოს საპროექტო გადაწყვეტილებები, კონსტრუქციული გადაწყვეტილებების დასაბუთება, სათანადო კონსტრუქციული გაანგარიშებები დატვირთვების და საანგარიშო მონაცემების მითითებით.
- გაანგარიშებით მიღებული ნახაზები განმარტებითი ბარათით, წარმოდგენილი უნდა იყოს სრულად, სათანადო დეტალიზაციით, რათა საჭიროების შემთხვევაში ექსპერტმა, მოცემული საანგარიშო მონაცემებით, შეძლოს გაანგარიშების შემოწმება.
- კონსტრუქციული სამუშაო ნახაზები, სამუშაოების მოცულობის უწყისები და მასალების სპეციფიკაციები.
- ვერტიკალური გეგმარების პროექტი.

<u>მშენებლობის ორგანიზაციის ნაწილი:</u>

- მშენებლობის ორგანიზაციის პროექტის განმარტებითი ბარათი, რომელშიც მოცემული იქნება ინფორმაცია ობიექტის მშენებლობის ხანგრძლივობის, ენერგო, მატერიალური და შრომითი რესურსების, სასაწყობო და საყოფაცხოვრებო ფართების მოთხოვნილების შესახებ. განმარტებით ბარათში აგრეთვე მოყვანილი უნდა იყოს აუცილებელი უსაფრთხოების და გარემოსდაცვითი ღონისძიებები.
- სამშენებლო გენერალურ გეგმაზე მოცემული უნდა იყოს დროებითი შენობა-ნაგებობები (ადმინისტრაციული და საყოფაცხოვრებო დანიშნულების დროებითი შენობები, დროებითი დახურული საწყობები და ღია სასაწყობო მოედნები, დროებითი გზები და სამშ. ტექნიკის სამანევრო მოედნები, დროებითი ელექტრო და წყალსადენის ქსელები, ტერიტორიის განათება და სხვ.)
- ობიექტის მშენებლობის კალენდარული და ფინანსური გრაფიკი.

<u>სპეციფიკაციების ნაწილი:</u>

- გამოყენებული სამშენებლო მასალების, ნაკეთობების, მოწყობილობების და დანადგარების ხარისხობრივი მახასიათებლების დეტალური აღწერა.
- სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა პროცესების თანმიმდევრობითი დეტალური აღწერა ტექნოლოგიური თავისებურებების მითითებით, მათი შესრულების ხარისხობრივი კონტროლის განხორციელების მიზნით.
- ტესტირებას დაქვემდებარებული სამშენებლო მასალების, პროცესების და მოწყობილობა-დანადგარების გამოსაცდელი რეჟიმის და თანმიმდევრობის დეტალური აღწერა.
- სპეციფიკაციები უნდა დამუშავდეს საპროექტო დოკუმენტაციის ყველა პუნქტისათვის.

<u>ხარჯთაღრიცხვის ნაწილი:</u>

- ხარჯთაღრიცხვის ნაწილის საერთო განმარტებითი ბარათი, რომელიც უნდა მოიცავდეს სამშენებლო ობიექტის სატიტულო სიას, გამოყენებული დოკუმენტების ჩამონათვალს და ინფორმაციას დანარიცხების გაანგარიშების წესის შესახებ (გაუთვალისწინებელი ხარჯები, ზედნადები ხარჯები, გეგმიური დაგროვება, ტერიტორიის მომზადება, დროებითი შენობა-ნაგებობები და სხვა).
- მშენებლობის კრებსითი ხარჯთაღრიცხვა.
- საობიექტო ხარჯთაღრიცხვა.
- ლოკალური ხარჯთაღრიცხვა შესრულებული რესურსული მეთოდით.

<u>სამშენებლო ნორმების ნაწილი:</u>

- საპროექტო დოკუმენტაცია მომზადებული უნდა იყოს საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმების, წესების თუ დადგენილებების დაცვით.
- პროექტირების ყველა ნაწილზე პროექტანტმა უნდა მიუთითოს გამოყენებული სამშენებლო ნორმები, წესები თუ დადგენილებები.

<u>მუშა პროექტის ნაწილი:</u>

- სამუშაო პროექტში მოცემული ნახაზები უნდა იყოს მასშტაბში, კორდინატების დატანით. (გეგმები, ჭრილები, დეტალები, კვანძები და ა.შ.)

<u>საექსპერტო დასკვნის ნაწილი:</u>

მიმწოდებელმა საბოლოო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ჩაბარების დროს უნდა წარუდგინოს შემსყიდველს სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ ან სხვა აკრედიტირებული ექსპერტის დადებითი დასკვნა კონსტრუქციულ ნაწილზე. საექსპერტო დასკვნასთან ერთად მიმწოდებელი ვალდებულია წარმოადგინოს ექსპეტების შენიშვნები პროექტთან დაკავშირებით და მიმწოდებლი მიერ გაცემული პასუხები აღნიშნულ შენიშვნებზე.

1.2.2.4.მომსახურების გაწევისას აუცილებელი სპეციალისტები

დავალებით გათვალისწინებული მიზნის მისაღწევად მიმწოდებელს უნდა ჰყავდეს გამოცდილი სპეციალისტებით დაკომპლექტებული გუნდი. შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს ძირითადი სპეციალისტების კანდიდატურების შემსყიდველთან შეთანხმება. ასევე, აუცილებლობის შემთხვევაში შემსყიდველის დასაბუთებული არგუმენტაციის საფუძველზე უზრუნველყოს ძირითადი სპეციალისტების ჩანაცვლება სხვა უფრო მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტებით.

ტექნიკური დავალებით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარების მიზნით მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს ქვემოთ მითითებული კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე ძირითადი სპეციალისტების ჩართვა.

1. გუნდის ხელმძღვანელი – ჰიდრო ინჟინერი, სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 10 წლის გამოცდილებით;
2. ხელოვნური ნაგებობების ინჟინერი – სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 10 წლის გამოცდილებით;
3. ინჟინერ-გეოლოგი – სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 10 წლის გამოცდილებით;
4. ინჟენერ-გეოტექნიკოსი - სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 10 წლის გამოცდილებით;
5. ჰიდროლოგი ინჟინერი – სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 10 წლის გამოცდილებით;
6. ხარჯთაღრიცხვის სპეციალისტი - სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 5 წლის გამოცდილებით.

აუცილებლობის შემთხვევაში მომსახურების დროულად დასრულების მიზნით მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს ძირითადი სპეციალისტების რაოდენობის გაზრდა.

1.2.2.5. განსაკუთრებული პირობა

სამშენებლო საქმიანობის განხორციელების პროცესში, მათ შორის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის ხელშეკრულების ვადის ამოწურვის შემდეგაც, შესრულებული სამუშაოების ხარისხისა და დეტალური საპროექტო დოკუმენტაციის შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, მიმწოდებელი ვალდებულია მიიღოს მონაწილეობა საპროექტო გადაწყვეტათა დაზუსტებაში, და საჭიროების შემთხვევაში მუშა დოკუმენტაციის, სამშენებლო მოცულობების და კონტრაქტის სხვა შესაბამისი ცვლილებების მომზადება-შეთანხმებაში, შემსყიდველის მოთხოვნის საფუძველზე სამშენებლო სამუშოების მიმდინარეობის მონიტორინგში, ასევე ტექნიკური დავალების დანართით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებაში.

1.2.3.შემსყიდველის წვლილი

შემსყიდველი გადასცემს მიმწოდებელს მის ხელთ არსებულ ყველა მასალას, რომელიც შეიძლება საჭირო იყოს მომსახურების გაწევისათვის.

პუნქტი 1.3. ხარჯთაღრიცხვა (გათვალისწინებულია დამატებითი დოკუმენტით)

პუნქტი 1.4. მომსახურების ეტაპების მიწოდების ვადები.

1.4.1. ხელშეკრულების გაფორმების მომდევნო დღიდან 6 (ექვსი) კვირის ვადაში, მიმწოდებელი ვალდებულია წარუდგინოს შემსყიდველს დეტალური პროექტის საწყისი ვარიანტი. შემსყიდველი ან ხელშეკრულებით შემსყიდველის უფლებამოსილი პირი დეტალური პროექტის საწყისი ვარიანტის

მიღების მომდევნო სამუშაო დღიდან 1 (ერთი) კვირის ვადაში წერილობით ან ელექტრონული ფოსტის საშუალებით მიაწვდის მიმწოდებელს კომენტარებს დეტალური პროექტის საწყის ვარიანტთან დაკავშირებით.

1.4.2. დეტალური პროექტის საწყის ვარიანტთან დაკავშირებით შემსყიდველის ან ხელშეკრულებით შემსყიდველის უფლებამოსილი პირის მიერ კომენტარების გადაცემის მომდევნო სამუშაოდღიდან 1 (ერთი) კვირის ვადაში მიმწოდებელი ვალდებულია კომენტარების გათვალისწინებით შეიტანოს ცვლილებები საპროექტო დოკუმენტაციაში (ასეთის აუცილებლობის შემთხვევაში) და წარუდგინოს შემსყიდველს საბოლოო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია და პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე ექსპერტიზის ჩატარების მიზნით სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“-თან ან სხვა აკრედიტირებული ექსპერტთან გაფორმებული ხელშეკრულება;

1.4.3. პროექტის კონსრუქციულ ნაწილზე ექსპერტიზის დადებითი დასკვნის მისაღებად შემსყიდველი გონივრულ ვადად განიხილავს არაუგვიანეს 4 (ოთხი) კვირას წიანმდებარე პუნქტის 1.4.2. ქვეპუნქტით გათვალისწინებული საბოლოო საპროექტო დოკუმენტაციისთვის დადგენილი ვადის ამოწურვის მომდევნო დღიდან. შესაბამისად მიმწოდებელი ვალდებულია გაატაროს ყველა აუცილებელი ღონისძიება დადებითი დასკვნის მისაღებად და გაითვალისწინოს, რომ, როგორც მიმწოდებლის მიზეზით, ასევე საექსპერტო დაწესებულების ან ექსპერტების მიზეზით აღნიშნული ვადის დარღვევის გამო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა დაეკისრება მიმწოდებელს.

1.4.4. საბოლოო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიღება-ჩაბარება განხორციელდება პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ ან სხვა აკრედიტირებული ექსპერტის დადებითი დასკვნის საფუძველზე, დასკვნის წარმოდგენიდან 1 (ერთი) კვირის ვადაში.

პუნქტი 1.5. მომსახურების მიწოდების ფორმა და ადგილი

1.5.1. მოსახურების ყველა ეტაპის ანგარიში წარდგენილი უნდა იყოს წერილობითი სახით.

1.5.2. საბოლოო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ინგლისურ ენაზე, როგორც ელექტრონულ ფორმატში CD ან DVD დისკებით (ტექსტური ნაწილი Word-ის, Excel-ის და PDF ფაილების სახით. კონსტრუქციული გაანგარიშება Lira-ას და PDF ფაილის სახით (შესაძლებელია სხვა შესაბამისი აპრობირებული საანგარიშო პროგრამის გამოყენება), ხოლო ნახაზები - Autocad-ის ფაილების სახით და PDF ფორმატებში), ასევე ბეჭდური ვერსიით მყარი ასლების (A4 და A3 ფორმატში) სახით 3 (სამი) ეგზემპლარად ალბომის სახით თითოეულ ენაზე.

1.5.3. ესქპერტიზის დასკვნა წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე (უცხო ენოვანი დოკუმენტის შემთხვევაში, უცხო ენოვან დოკუმენტს უნდა ახლდეს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი) 1 (ერთი) ეგზემპლარად.

1.5.4. მომსახურების ეტაპის ანგარიში, საბოლოო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია წარდგენილ უნდა იყოს შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზირი N150, სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი.